კვირა, 8 მაისი 1911 წ. ფასი ცალკე 10 კაპ.

# სალამური



№ 16 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

## ოცნება.

ფიქრი შავს ნისლსა მივანდე,
ოცნება ეთერს ცისასა,
გული კი სატრფოთ სხივთ მთვარის
და განთიადის მზისასა;
თითონ ნიავი შევკაზმე,
ჩამოვუქროლე ქოხებსა:
გავსცდით ტყეს, მდელოს, მივუხტით
შავის მთის შავს ორწოხებსა.
ქოხებთან იწვენ ჩრდილები,
უმთვარო, ბნელი ღამისა,
ცალ გვერდზე გადახრილების
ნიშანნი ცუდის რამისა.
ავშალეთ და მყის ვიფრინეთ...
შორს გავუძახეთ მთებისკენ,
დილამდის ვერეკებოდით
ჩვენ მათ მთის ორწოხებისკენ...
დილაზე მზეც ამოვიდა,
ტახტი დაიდგა ცაშია...
ჩრდილებს კი სული ხდებოდათ,
ჩვენგან ჩაჩეხილთ მთაშია.
ნისლი ზღვას გაღმა გავიდა,
მიაწყდა მთასა ტიალსა...
გული მთლად ტრფობით ალვ'ილი
შეერთო მზისა ციალსა.
ოცნება ციდან დაბრუნდა...
ქვეყანა ედემს ედარა...
შავს მთას კი ნისლთა გროვანი
ბნელ ძაძათ გადაეფარა...
ჩრდილნი ადგომას სცდილობდენ;
მთა იმათ გულში იხვევდა
და წინამძღოლათ დემონსა
ჯოჯოხეთიდან იწვევდა.
მაგრამ სად!.. ველარ ჰბედავდა
დემონი მზესთან ბრძოლასა,
და შეურიგდენ ჩრდილებიც
სამუდმოთ მთაში წოლასა!..

**ნ. ზომლეთელი.**

## ბულადი რაინდი

(ამბავი).

(ვუძღვნი ფას—ს.)

დეკემბრის სუსხიანი ღამე იყო. გარეთ ნელა ბარდნიდა თოვლი და თავის თეთრ მანტიას ნაზათ ახვევდა თავზე მყუდროებით გარემოცულ. სოფელს მიყუჩებული სოფელი უხმოთ, უსიტყვოთ ეხვეოდა თეთრ სუდარაში, ცოცხლათ იმარხებოდა. ბუხარში საოცნებოთ გაჰქონდა გუზგუზი ცეცხლს. რამდენიმე ამხანაგი ბუხართან გარს შემომსხდარი ჩუმათ ვისმენდით ცეცხლის საიდუმლო ტკაცანს, ყველა საკუთარ ფიქრებს გაეტაცნა.

— როგორ, ორთაჭალის სახედრებივით ჩამოგიყრიათ ყურები? ისე გაჩუმებულხართ ყველანი თითქოს წინ მიცვალებული გვესვენოს—დაარღვია სიჩუმე ვასო ცანცარაძემ—თუ ზღაპარი არ იცით სხვა რამე ვსოქვათ. ჩვენში ისეთი არავინ იქნება, რომ რაიმე ამბავი არ გადახდენოდეს თავს. ვისაც რა გადახდომია ილაპარაკოს. აბა თომა დაიწყე, ყველაზე მეტი ამბები შენ გეცოდინება, რადგან

გან „შემთხვევების“ კაცი ხარ, გვიამბე რამე.—მიმართა მან ერთ ამხანაგს.

ყველა ოცნებობიდან გამოერკვაა.

— აბა თომა დაიწყე, თორემ ლამის არის ჩამოგვეძინოს—მიმართეს აქეთ იქიდან.

—აბა რა გითხრათ—დაიწყო თომამ—მართალია ბევრი რამ გადამხედია, ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ ისე ყველაფერი გამომიცდია, მაგრამ რომელი ერთი გითხრათ.—ის გაჩუმდა და ცოტა ხანს ჩაფიქრდა. ყველანი სმენათ გადავიქეცით და ველოდით როდის დაიწყებოდა

— გეტყვით ერთ უბრალო ამბავს, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც შემემთხვა· თუმცა უბრალო, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მან ღრმა კვალი დასტოვა ჩემს მეხსიერებაში.

შარშან ზაფხულს, რაკი სოფელში ცხოვრებამ ძალზე მომაბეზრა თავი. გადავსახლდი ქალაქ მტვერეთში. ქალაქში ბევრი ნათესავები და ნაცნობები მყავდა საზოგადოთ ისეთი ხასიათი მაქვს რომ უცხო ოჯახში ცხოვრება და ისიც მარტოს ძალიან მეჯავრება. ამიტომ ერთი ჩემი ნათესავის წინადადებით დავბინავდი მასთან. ჩემი ნათესავი მეტათ გულკეთილი ადამიანი იყო, დღე იყო და ხუთი ექვსი სტუმარი მუდამ ჰყავდა, ვინც კი ჩამოვიდოდა სოფლიდან ნაცნობი, თუ უცნობი მოურიდებლათ მიდიოდა მასთან, ყველამ იცოდა მისი სტუმართ მოყვარეობა და გულ უხვობა მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო, მან არ იცოდა სხვებივით პირმოთნეობითი ბოდიშების ხდა, რაც ჰქონდა იმითი გაგიმასპინძლდებოდა. დილით, რომ მოსულიყავით ასე გეგონებოდათ სასტუმროში ვართ, ზოგი სად იწვა და ზოგი სად, ოთახები და აივანი სულ სამსე იყო მუდამ. ასეთ უბრალო ხასიათისთვის მეტათ პატივს ვსცემდი მას და სიამოვნებით დავსთანხმდი თუმცა მეტათ ღარიბულათ ვსცხოვრობდით, მაგრამ მეტის მეტი მხიარული ვიყავით ყველანი. ხშირათ მოხვდებოდა ხოლმე, რომ უსადილოთ უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ ვის ახსოვდა შიმშილი, იყო ერთი სიცილ ხარხარი ვინ რას იგონებდა და ვინ რას, რომ სადილი გაეჩინა. ერთ დღეს ჩემ შინ არ ყოფნის დროს ასეთ კრიტიკულ მდგომარეობიდან ჩემმა ძველმა შალვარმა დაიხსნა ყველანი. სადილობა მოაწია და სადილი არ არის. ყველამ თავი მოიყარა სასადილო ოთახში და გაიმართა თათბირი, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. უცბათ წამოდგა ლამაზი და გულკეთილი ახალგაზრდა ქალიშვილი ეფროსინე, სახეზე რაღაც ეშმაკური ღიმილი უკრთოდა და გავიდა მეორე ოთახში ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და ღრმათ ჩაფიქრებულ „უსადილოებს“. ცხვირ წინ სუფრაზე ჩემი ძველი შალვარი გაუშალა.

— აჰა, ჭამეთ! ჭამეთ!—მხიარულათ დასძახა მან, ტაში შემოჰკრა და გულიანათ სიცილს მოჰყვა.

ყველანი გაოცდენ და თვალები ჩემ ძველ შალვარს მიაშტერეს ვერ წარმოედგინათ დასცინოდა მათ ეფროსინე თუ რა ამბავი იყო როგორ შეიძლებოდა შალვარის შეჭმა და ისიც ძველის ბოლოს, როგორც იქნა გაბედეს, ერთმა „უსადილომ“ ჩემი შალვარი ხელში აიღო და გაოცებით შეეკითხა ყველას.

— განა შეიძლება შალვარის შეჭმა და ისიც ასე ძველის?

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი შალვარი კარგი ხნის ნამსახური იყო და სიძველით ვერავითარი შალვარი ვერ ჩამოუვარდებოდა.

ყველა გაოცებული მიშტერებოდა შალვარს და პასუხი ვერ მიეცა. ყველამ კარგათ იცოდა. რომ შეიძლებოდა ჭამა მჭადის, ღომის, ლობოს ხარშოს და პურის, ხოლო შალვარის ჭამა თუ შეიძლებოდა და ისიც მშიერ კუჭზე, ვერავის წარმოედგინა.

შალვარი ისევ სუფრაზე დასდეს და ღრმათ ჩაფიქრდენ, რომ გამოეკვლიათ ეს ფილოსოფიური საკითხი.

ამ „საშინელ“ მდგომარეობიდან ეფროსინემ გამოიყვანა ისინი.

— როგორც გეტყობათ, უსადილობას თქვენს ჭკუის სალაროზეც მოუხდენია გავლენა. ნუ თუ ვერ მიხვდით, რომ ამ გახუნებული შალვრის პირში ჩადება, დაღეჭვა და შეჭმა არ შეიძლება? ამას რა დიდი ფიქრი უნდა? ამ შალვარს შეუძლია გააჩინოს სადილი და ჩვენ კი შეგვიძლია ის შევჭამოთ—სიცილით წარმოსთქვა მან და გამომცდელი თვალებით დაუწყო ყველას ყურება.

— აბა, როგორ? როგორ?—მოისმა აქეთ იქიდან და მშიერი თვალები ყველამ მას მიაშტერა.

— როგორ? ჩვენ შეგვიძლია ეს შალვარი გავყიდოთ, აღებულ ფულით სადილი ვიყიდოთ და შევჭამოთ.

— ურა! ურა! ურა! ახმაურდა „უსადილოთა“ მთელი ბანაკი. საბრალო ჩემი შალვარი ჰაერში ააფრიალეს და აქეთ იქით ეწეოდენ

— გაუმარჯოს ბატონ შალვარს, გაუმარჯოს ჩვენ მხსნელ შალვარს! გაუმარჯოს ჩვენ სადილ—შალვარს!—დასძახეს ერთხმათ. დიდის ამბით ჩემი შალვარი აივანზე გამოიტანეს, დაუძახეს ძველი ტანისამოსის მყიდველს და ხუთმეტ შაურათ მიჰყიდეს,

ამ ფულებით ისეთი სადილი გამართეს რომ მთელი დღე ჰარიალალოს იძახდენ თურმე.

საღამოზე, როცა დავბრუნდი და შალვარი მოვიკითხე ხმა არავინ გამცა. ვისაც ვეკითხებოდი „ჩემი შალვარი ხომ არ იცით სად არის მეთქი“. მრავალ მნიშვნელოვანათ გამიღიმებდა და კუჭზე იდებდა ხელს. ამ ამბავმა გამაოცა, სად ჩემი შალვარი და სად მაგათი კუჭები, რას მიქარავენ მეთქი. ბოლოს როგორც იქნა გამაგებინეს რაშიც იყო საქმე, რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია.

ასე ღარიბულათ, მაგრამ მეტათ მხიარულათ ვატარებდით დროს. განა შეგიძლია კაცს რაიმე გაჭირვებაზე, შიმშილზე და წყურვილზე იფიქრო, როცა გარს გულკეთილი, მოყვარული ხალხი გახვევია და ყველას სახეზე ღიმილს ხედავ: მაშინ ყველაფერი დაგავიწყდება კაცს.

რადგანაც ზაფხული იყო და ცხელოდა მე და ერთი ახალგაზდა აივანზე ვწვებოდით დანარჩენები ოთახში ხვრინავდენ. ადვილი შესაძლებელია ჩვენ არ გვეთქვა უარი ოთახში დაძინებაზე, მაგრამ თავისუფალი ვაკანსია მხოლოდ სამზარეულო განჯინაში და ბუხრის თაროზე იყო და იქ კი ძნელი იყო წოლა. როგორც საზოგადოთ ყველგან ამ ქალაქშიაც ბევრი ბუდობდენ ქურდ ბაცაცები. თუმცა ძალიან გულადათ ვიყავი და ვტრაბახობდი კიდეც ქურდმა რა უნდა მიქნას მეთქი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დავწვებოდი თუ არა ტანისამოსებს, და ფეხსაცმელებს მაგარი თოკით ვკრავდი კრაოტის თავზე, რომ ადვილათ არ შესძლებოდა ქურდს გამოხსნა და წაღება. საბანი მუდამ მაგრათ მეჭირა ხელში.

ერთ ღამეს ძალიან დამიგვიანდა სახლში მისვლა. იქნებოდა ღამის ორი საათი როცა დავბრუნდი. ყველას ეძინა ჩვეულებრივათ გავიხადე ტანთ, ტანისამოსი მაგრათ მივაკარ და ჩავწექი, არ მახსოვს რამდენი ხანი გავიდა, უცბათ ვიგრძენ რომ ვიღამაც საბანი ამაგლიჯა. ფეთიანივით წამოვარდი ზეზე, მივიხედ მოვიხედე, აღარც ჩემი საბანი არის და არც არავინ სჩანს. უცბათ ვიღაც გამოძვრა იატაკს ქვემოდან, ჩემი საბანი ზურგზე წამოეკიდა და გაიქცა. თუმცა გულადობას ვიჩემებდით მაგრამ უნდა გამოვტყდე შიშით სული კინაღამ გამძვრა, აქეთ ვეცი იქეთ ვეცი, ხან ტანისამოსს შევუსვი ხელი, ხან კრაოტს ავსწიე, არ ვიცოდი რას ვშვრებოდი, მინდოდა დამეყვირა, მაგრამ რაღაც ყელში გამეჩხირა. მეგონა ქურდი ისირცხვილებდა და რაკი ქურდობაში დავიჭირე დატოვებდა ჩემს საბანს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდე, გარბოდა როგორც შველი.

ბოლოს თავს ძალა დავატანე და ერთი ისე საშინლათ დავიღრიალე, რომ მეგონა თავი გამისკდა მეთქი. მთელი ბანაკი ფეხზე დადგა ჩემი ამხანაგი ლოგინზე წამოჯდა, უაზროთ თვალები დაალო, და პირის ცმაცუნი დაიწყო როგორც შევატყვე დაყვირება უნდოდა მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა წათამამებულმა მოვრთე ღრიალი, და ვყვიროდი რაც ძალა და ღონე მქონდა. ქურდი კი გარბოდა და უკვე სამშვიდობოსაც გავიდა როცა დავწყნარდი და ტანისამოსიც გადავიცვი გამოვიდენ გარეთ ჩემს საშინელ ყვირილს ყველასთვის თავზარი დაეცა, ასე ეგონათ თურმე გავგიჟდი. როცა გაიგეს რაშიაც იყო საქმე, ასტყდა საერთო ხარხარი.

— აბა გულადო რაინდო, დასჭყივლე, დასჭყივლე!—ამიხირდენ აქეთ იქიდან.

სწორე გითხრათ ძალიან შემცხვა, დავიწყე ვითომ თავის მართლება, ჩემი ყვირილით ქურდს გული გაუსქდა მეთქი, მაგრამ ამაოთ, მათი ხარხარი მაინც ვერ შევაჩერე.

დავიხურე ქუდი და დარცხვენილი გაველი ქუჩაში იმ იმედით იქნებ ჩემს საბანს წავაწყდე სადმე მეთქი.

მას შემდეგ სალაპარაკოთ გახდა ეს სასაცილო ამბავი, დამინახავდენ თუ არა მაშინვე მომაძახებდენ „აბა გულადო რაინდო, როგორ იყო ქურდს რომ გული გაუხეთქე შენი ყვირილითა.

— ასე სასაცილოთ დასრულდა ჩემი რაინდობა —დაათავა თომამ.

ამ ამბავმა საერთო ხარხარი გამოიწვია.

**ირეთელი.**

# სიმონა მათლაფაძე

I.

— ფუი, მაგის „რჯული“ არ იყოს!—უცბათ წამოიძახა ერთ ერთ დაწესებულების უმფროსმა მოხელემ სიმონა მათლაფაძემ, საბანი მორს გადისროლა და საცვლების ამარა ლოგინზე წამოჯდა. ზანტათ დაამთქნარა, გაიზმორა და სკამზე ჩამოდებულ მწვანე დიაგანალის შარვალს ჩასაცმელათ ხელი წაავლო. მათლაფაძე 30 წლის კაცი იქნებოდა; წვერ მოპარსული, ქერა, საშვალო, მომსხო ტანის. მისი ცხოვრება ერთი დიდი უაზრობა იყო; ის არ ეკუთვნოდა არავითარ ჯოგს.

ჩვეულებრივ ის დღის სამ საათზე დაბრუნდა თავის ოთახში, მაშინვე გაიხადა ტანზე და დასაძინებლათ დაწვა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ

ეკარებოდა; ის წამ და უწუმ ხან ერთსა და ხან მეორე გვერდზე მოუსვენრათ ტრიალებდა, მძიმეთ ოხრავდა და რაღაცას ბუტბუტებდა. მას რაღაც უცნაური ფანტაზია მოსვენებას არ აძლევდა, ძილს უფრთხობდა, თავს უმძიმებდა და, თან ხან და ხან რაღაც ტკბილ ნეტარებასაც აგრძნობინებდა. ეს იყო ფიქრი ქალებზე. მათლაფაძეს ძლიერ უყვარდა ქალები... უყვარდა მხოლოთ მისი პირუტყვული გრძნობების დასაკმაყოფილებლათ და არა წმინდა, ნამდვილი და ფაქიზი სიყვარულით. ის ყოველთვის მზათ იყო მოხერხებულ. დროს მხეცივით სცემოდა რომელიმე ქალს და როგორც თვითონ ამბობდა თავის გულში „ერთი მაგრათ გაეჯიჯგნა“. მისთვის თითქმის სულ ერთი იყო ვინც უნდა ყოფილიყო ეს მისი პირუტყვული გრძნობის დამაკმაყოფილებელი არსება: კარგი მეგობრის გინდ ნაცნობის ცოლი ან გასათხოვარი ქალიშვილი, უცხო ვინმე, ქუჩის გოგო და წარმოიდგინეთ ნათესავიც კი. დიახ, ეს სულ ერთი იყო მისთვის, ის ამას არ დაგიდევდა, მაგრამ მთელი უბედურება მისი აზრით იმაში მდგომარეობდა, რომ ის მეტის მეტი მშიშარა და გაუბედავი იყო ისე, როგორც საზოგადოთ ყველა ქვენა აზრების მქონე ადამიანები არიან. ამიტომ იყო რომ ჩისი განზრახვა და სურვილი ყოველთვის სურვილებათ რჩებოდა. ეს გარემოება გულს უკლავდა მას. მათლაფაძე შურის თვალით უყურებდა იმათ, რომლებსაც მასავით სული არ მისდიოდათ ქალებზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათთან იყვნენ, საუბრობდნენ, იცინოდნენ და დროს ატარებდნენ.

— „რა უბედური კაცი ვარ!“—ხშირათ იტყოდა თავის თავზე ის—„არა, მე რა დამიშავებია რომ არავინ მეკარება? მე ხომ ცუდ რამეს არ ვლაპარაკობ მათზე პირადათ?“. მათლაფაძე ყოველ შეკრებულებაში, მეტადრე იქ, სადაც ქალებიც იყვენ, თავისი პირუტყვული გრძნობით გატაცებული, უმეტეს დროს ჩუმათ იჯდა, შესცქეროდა სხვებს და ფიქრობდა; ფიქრობდა მის ახლოს მომცინარ-მოლაპარაკე ქალებზე.

— „რამ მოგაწყინათ სიმონ?“ — შეეკითხებოდა მას ასეთ დროს, რომელიმე ნაცნობი ქალი. სიმონას ისე გაუხარდებოდა ასეთი შეკითხვა, რო მას მეტის მეტი სიამოვნებით თავბრუ დაეხვევოდა.

— ოჰ, შენ კი დაგენაცვლე მაგ ენის კლიტეში!... როგორ ნაზათ მეკითხები!... გებრალები გენაცვალე?“—მოიფიქრებდა მათლაფაძე და შემდეგ არა ჩვეულებრივის ხმით უპასუხებდა: „თქვენ... თქვენ ნუ სწუხართ ქალბატონო... იმხიარულეთ... რაღაც ფიქრებმა გამიტაცესო“.

სამაგიეროთ ის სმენათ გადაიქცეოდა ხოლმე და თითქმის „სარეჩოთაც“ კი მოემზადებოდა როცა ვისმესგან გაიგონებდა: ამ და ამ ქალს ქმრისათვის უღალატნიაო“, „ამ და ამ კაცმა თავის ცოლსა და მეგობარს ერთად მოასწროვო , და სხვა. ამ გვარ ამბების გაგონებით წათამამებული მათლაფაძე უცებ მოცოცხლდებოდა, და ნერვებ აშლილივით კითხულობდა: „რაო! რა ბრძანეთ?... სად?... როდის?... ძალიან ახალგაზრდა იყო ნეტავი?... ალბათ ლამაზი იქნებოდა... რა უქირს მ...—აქ მათლაფაძე მზათ იყო თავისებურათ გაემართლებია ასეთი მოვლენები და შებრძოლებოდა ყველას, ვინც კი ამ შემთხვევაში მამაკაცებს დაუწყებდა მტყუნებას; მაგრამ აქაც შიში და გაუბედაობა საბოლოოთ ღუპავდა მის საქმეს. საკმარისი იყო ორიოდე საწინააღმდეგო სიტყვით ჩარეოდა ვინმე მის უთავბოლო და გაუგებარ ლაპარაკში, რომ მას ენა დაბმოდა იძულებული იყო დაჩუმებულიყო და, რამოდენიმე წუთს სხვებისათვის პირდაპირ ვერ შეეხედნა.

—ყაძახი ყოფილა რომ უნდა იმისთანა. ამბობდა მათლაფაძე, როცა ოთახში შებრუნდებოდა. აბა მე კაცი ვარ?! სისხო მე არ მაკლია, ღონე და გრძნობა... მახინჯიც არა ვარ; მარა რას ვაკეთებ? ჩავაკვდი ერთად ერთ „საზოგადო სახლს“ და იმას იქით მზე თუ ამოვა აღარ მგონია!... ფუი, ჩემს ახალგაზრდობას! „იქ“ ხომ უკანასკნელი გამურული პერსიანიც კი დაეთრევა!.. ფუი, ფუი!.. სიმონა მათლაფაძევ! შეგირცხვა ახალგაზრდობა; ნამდვილი ლაჩარი ხარ ლაჩარი“.

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა სიმონას ცოტაოდენი გამბედაობა ემატებოდა: ეს მაშინ, როცა ის ნასვამი იყო; სიმონამ ტანზე ჩაიცვა და ბარბაცით და ძალდატანებითი ხველით პირისაბანთან მივიდა. ოთახში, მეტადრე იქ, სადაც პირისაბანი იდგა, საშინელი უსუფთაობა იყო, პირის დაბანის შემდეგ ერთი კიდევ დაამთქნარა, თმის დავარცხნას შეუდგა და პატარა სარკეში ჩაიხედა. „აბა, ეხლა საით?“ გაიფიქრა მან როცა ყველაფერს მორჩა. მას გული უწუხთა. დარწმუნებული იყო, რომ ოთახში ვერ გაჩერდებოდა. წიგნის კითხვა მას არ უყვარდა, რომ მით მაინც დრო მოეკლა. მართალია, ის ხანდახან კითხულობდა რომელიმე რუსულ ნაწარმოებს, მაგრამ ეს მხოლოთ მაშინ, როცა წინ და წინ იცოდა, რომ იქ ქალებზე იყო ლაპარაკი. ასე დაინტერესებულმა წაიკითხა მან მაგალითად ერთხელ ლ. ანდრეევის „წყვდიადი“. მათლაფაძე მეტის მეტად ნასიამოვნები დარჩა მოთხრობის წა-

კითხვით. მეტადრე მას მოეწონა ის ადგილები, სადაც მოთხრობის გმირი „რევოლიუციონერი“ აყალმაყალისა და ლანძღვის შემდეგ „პროსტიტუტკას“ შეურიგდა, მთელი ღამე მასთან დარჩა, იქეიფა და დილას დაიჭირეს. მათლაფაძეს ჩვეულებათ ჰქონდა გადაქცეული ამ გვარ მოთხრობების გმირებისათვის თავის თავი მიემზგავსებია, ან მიებაძა მათთვის რამდენათაც კი შეეძლო. აგრეთვე ის ყოველთვის თავის საკუთარ აზრსა და შეხედულებასთან აერთებდა.

— „ვენაცვალე იმ ანდრეევს; ჩემს გულში ხომ არ იჯდა იგი წყეული როცა ამ მოთხრობას სწერდა!“ — აღტაცებით წამოიძახა მან „წყვდიადის“ წაკითხვის შემდეგ. ქართულ წიგნებსა და ჟურნალ გაზეთებს ხომ სულ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ის და არც კითხულობდა. მისი აზრით ისინი არაფერი საინტერესო არ იყვნენ.

მან გადასწყვიტა ამ საღამოს გასეირნება, დაკეტა ოთახის კარი და ქუჩაში გამოვიდა. ზაფხულის საღამო იყო. თუმცაღა ჯერ არ დაღამებულიყო, მაგრამ ქუჩებში ელექტრონის ფანრები უკვე აენთოთ. ქუჩაზე ხალხი ბლომათ მიდი-მოდიოდა. მათლაფაძე შეუმჩნევლათ ორ ახალგაზრდა უცნობ ქალს გაჰყვა უკან. მათ ტანის გამოხატულებას და რხევას მსუნაგი თვალებით ხარბათ იჭერდა. პირი ოდნავ დაეღო, თავი ცოტათი გვერდზე გადაეწია, ნელათ მიაბიჯებდა და ფიქრობდა მის წინ მიმავალ ორ უცნობ ქალზე. სულ რამოდენიმე საჟენიც არ გაევლო, რომ მას გზაზე ერთი მისი კარგი ნაცნობი ახალგაზრდა ტელეგრაფისტი წამოეწია, რომელსაც რაღაც წიგნი ეჭირა ხელში.

— გამარჯობა სიმონ! — უთხრა მან და თან წინ მიმავალ ორ ახალგაზრდა ქალს თვალი გააყოლა. — აი, შენ „ქითაფ ძალოო“ შენა!... დიდი შეჩვენებული კაცი ხარ სიმონ, დიდი!.. დაუმატა მან ღიმილით. სიმონმა მხოლოთ ამოიგვნეშა.

— სად მიხვალ? რა წიგნია ეს? — მიბნედილი ხმით შეეკითხა ის ტელეგრაფისტს და გვერდზე გაიწია, რომ მოსიარულე ხალხისათვის გზა მიეცა.

— ჰა!... მაგის თქმაში შენ ქოთამსაც კი მომცემ; ეს გახლავს არციბაშევის „სანინი“.

— „სანინი“?!.. წამოიძახა სიმონამ, გამოსტაცა წიგნი ტელეგრაფისტს და მოუთმენლათ ფურცვლა დაუწყო. ,,Рось какъ дерево въ полѣ“, — ამოიკითხა პირველ გვერდზე მან. „...Грудь всегда насила приподнятой“... „. Какъ красивая кобыла“... — ნაწყვეტ ნაწყვეტათ კითხულობდა ის ხან ერთსა და ხან მეორე გვერდზე და მოწონების ნიშნათ უმატებდა: „ოჰო, ჰო, ჰო!.. შენ ვენაცვალე ბიჭო!.. ეს მართლაც კი უნდა იყოს საინტეროსოვო“. მათლაფაძეს გაგონილი ჰქონდა არციბაშევის „სანინი“, დიდი ხანია მოწადინებული იყო იმის წაკითხვას, მაგრამ ჯერ ვერსად ეშოვა.

— „ამის ძებნამ გადამიტანა ბიჭო, თუ გიყვარდე მათხოვე საშა რათაც არ უნდა დაგიჯდეს“. — ღრეჭით შეევედრა ის ტელეგრაფისტს. მას ეხლა ალარაფერი ახსოვდა და არც აინტერესებდა გარდა იმ წიგნისა, რომელიც ხელში ეჭირა და წამ და უწუმ ფურცლავდა.

— არაფერიც არ დამიჯდება; აი, ეხლა ბიბლიოთეკაში მიმაქვს, წამოდი შენც თუ მანეთი გიძევს ჯიბეში, ჩაეწერე „აბონენტათ“ და წიგნიც წამოიღე... ვარს ველარ იტყვიან...

სიმონამ საჩქაროთ პორტმანი ნახა.

— არის, არის; მაშ წავიდეთ, — წარმოსთქვა მან და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. იმავე საღამოს მართლაც მოიტანა „სანინი“ თავის ოთახში და გულის ფანცქალით კითხვას შეუდგა.

II.

„სანინას“ წაკითხვამ ღრმა გავლენა იქონია მათლაფაძის სუსტ გრძნობა-გონებაზე; ის ერთიანათ გამოიცვალა: შიში და გაუბედაობა, რომლებიც მისი აზრით ფრთებს აკვეცავდა მის სურვილებს, მოულოდნელათ სადღაც გაჰქრენ. მას გამბედაობა მოემატა, მისთვის ეხლა წინათ შეუძლებელი შესაძლებელი შეიქნა. მან თავისუფლათ ამოისუნთქა და სამოქმედოთ მოემზადა. პირველ ყოვლისა მოაგონდა მას რომ, მოთხრობის გმირი სანინი ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო; მოაგონდა ისიც, თუ როგორ ირბინა ფეხშიშველა სანინმა მდინარის პირათ და შემდეგ სრულიად ტიტველმა კიდევაც იგორავა სილაში. ჩვეულებისამებრ მათლაფაძემ ჯერ თავის თავი ამზგავსა რომანის გმირს სანინს და შემდეგ მიბაძვას შეუდგა: მან გაიხადა ტანზე საცვლების მეტი ყველაფერი, და ოთახში ჩქარი სიარული იწყო. სიმონა სცთილობდა დაერწმუნებია თავის თავი, რომ მისი ეხლა ასეთი საქციელი სასიამოვნო იყო.

— ეჰ, შენი ჭირიმე ბიჭო, დასტკბი! დასტკბი! — ამბობდა თავისთვის ის ხტუნავდა და საკუთარ სხეულს ჩქმეტავდა. „ნეტავი დღე იყოს; უეჭველათ გადავეყრებოდი ვინმეს“. ფიქრობდა ის.

მეორე დღეს დილით, როცა სიმონამ სამსახურში წასვლა დააპირა და ოთახიდან ეზოში გავიდა, მეზობელ ოთახიდგან ვიღაც ლამაზი ქალი გამოვიდა. მათლაფაძეს წინათაც ენახა ეს ქალი,

ჩვეულებრივ ბევრი ეფიქრა მასზე, მაგრამ გაცნობა ერთხელაც ვერ გაებედნა და ვერ მოეხერხებია. ეხლა კი დაინახა თუ არა იმ წამსვე შესცინა. ქალს გაუკვირდა და თვალები მიაშტერა ნაცნობი არ იყოსო, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ის ნაცნობი არ იყო საჩქაროთ პირი იბრუნა და ცოტა ხანს უკან ისევ მოიხედა. სიმონა ისევ იმავე ალაგას იდგა და ურცხვათ ელრიჭებოდა. ქალი მაშინვე თავის ოთახში შევარდა, საიდგანაც იმ წამსვე ვიღაც მრისხანე სახის კაცი გამოვიდა და გაფაციცებით თვალებით ვიღაცას ძებნა დაუწყო. სიმონს ამ კაცის დანახვაზე საშინელმა შიშის ჟრუანტელმა დაურბინა მთელ სხეულში, მაგრამ ჩქარა ისევ ძალ-ღონე მოიკრიბა, მაგრათ ჩაახველა და ჩქარი ნაბიჯით ქუჩაში გავიდა. ეს ისე უცებ მოხთა რომ, მრისხანე სახის კაცმა მხოლოთ ქისკარში გასვლის დროს ვიღაცის ტანისამოს მოჰკრა თვალი. სიმონამ ეხლა ქუჩაში გადმოიტანა „სანინისებური“ ღიმილი.

— „სულელი! — მიიღო მათლაფაძემ ჯილდოთ ამ ღიმილში ერთი გიმნაზიის ქალისაგან.

— ღმერთო ჩემო ეს რა მხეცია?! — შემოესმა მას მეორესგან.

— იქით დაიკარგე ძაღლო! — შეუკურთხა მას ერთმა მოსამსახურე რუსის გოგომ, რომელიც კალათით ხელში ბაზრისაკენ მიჩქაროდა. სიმონს არ, ესიამოვნება — ამ გვარი „კომპლიმენტები“, მაგრამ უკან არ იხევდა და თავისას განაგრძობდა.

— არა უშავს; ჯერ პირველია... შემეჩვევიან... — ანუგეშებდა ის თავის თავს. ამ გვარივე ლოცვა კურთხევით დაბრუნდა იმ თავის ოთახში სამ საათზე მან ხელათ გაიხადა ტანზე ფინჯაკი და ჟილეტი და პერანგის ამარა ფანჯარასთან დაჯდა და ქუჩაში გამვლელ ქალებს ღრეჭა დაუწყო. სხვათა შორის მან გაულრიჭა ერთ ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილ მანდილოსანს, რომელსაც უკან კუდ დაგრეხილი ფინია ძაღლი მისდევდა. ქალმა რაღაცა უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკა, კოპები მოხუშა და ნაბიჯს უმატა. ამ დროს შის პირდაპირ ადგილობრივი უბნის დარაჯი ზანტათ მოდიოდა. სიმონამ დაინახა, როგორ გაიჩერა ქალმა დარაჯი, რაღაცა უთხრა და მის ოთახისკენ თითით აჩვენა. „მგონია დავიღუპე!.. დასწყევლოს ღმერთმა“! — გაიფიქრა მან და ფანჯარას მოშორდა.

— „Г нъ!.. А, Господинъ!“ — შემოესმა მას ცოტა ხანს უკან ქუჩიდან. სიმონამ საჩქაროთ აისხა ბრწყინვალე ფოლაქები, თავზე კაკარტიანი ქუდი დაიხურა, მწყრომიარე სახე მიიღო და ფანჯარაში გადაიხედა. მის წინ დარაჯი იდგა.

— „რა ნინდათ?“ — შეეკითხა ის დარაჯს. დარაჯი უცებ დაიბნა. ის არ მოელოდა აქ მოხელის დანახვას და ცოტა არ იყოს შეკრთა; მაგრამ ბოლოს როგორც იყო გაბედა ხმის ამოღება:

— „Собственно говоря это . все она виновата... Вы изволили чтонибудъ сказать этой женщинѣ?“.

— რაო? ვის უბედავ მაგას? ვინ გგონივარ? ხომ არ გინდა 24 საათში გაგაქრო ამ უბნიდან?! ერთი ამას უყურეთ! — რიხიანი ხმით გადასძახა სიმონამ დარაჯს რაკი შეატყო რომ ის შეკრთა მის დანახვაზე. დარაჯმა ხმა ველარ ამოიღო, მით უმეტეს მან კარგათ ვერც კი მიხვდა რომელ ოთახზე აჩვენა ქალმა.

— მომიტევეთ თქვენო ქეთილ...

— გასწი, გასწი!.. ვიღაცას რამე ეგონება! — გააწყვეტინა სიმონამ. დარაჯი იმ წამსვე განშორდა ფანჯარას. მათლაფაძე გამობრუნდა და სიცილი დაიწყო, მაგრამ ისევ ჩქარა დაფიქრდა: „დასწყევლოს ღმერთმა ასე არ გამოდის. ასე მართლაც შესაძლებელია ხიფათში გავება. არა, ისევ სხვა გზას უნდა დავადგე... თუ რამე გავხთი ისევ ნაცნობებში; რასაკვირველია, ვარსავანაც ხომ ნაცნობი იყო სანინის? ოჰ, შენ სულელო ჩემო თავო! რატომ ამდეხანს არ მოგაგონდა შენ ეს?“ მათლაფაძის გულმა ხელ ახლა იმედით იწყო ძგერა. მან გადასწყვიტა ამ საღამოს ჯერ ბულვარისაკენ წასულიყო და შემდეგ ერთ ნაცნობ ოჯახს სტუმრებოდა, სადაც მას ორი გასათხოვარი ქალი ეგულებოდა.

ანთემი.

(დასასრული იქნება).

## პატარა ფელეტონი

### ჩვენებური მზრუნველობა.

(სცენა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებიდან)

(სცენა წარმოადგენს ქართულ თეატრის დარბაზს. საუცხოვო დეკორაციები. სცენაზე რიგზე ჩამწკრივებული არიან სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებების, თუ კერძო პირთა წარმომადგენლები სადღესასწაულოთ მორთულნი, ყველა მათგანს ხელში უჭირავს ძვირფათ მოსართმევათ ულუფა, ზოგს შემწვარი ბატკანი, ზოგს გოჭი, ზოგს სხვადასხვა ნივთები. თეატრის დარბაზი მაყურებელი ხალხით სავსეა. მადლიერი ერი დღესასწაულობს ქართველ მწერალ, დიდებულ მგოსნის ლავრენტი ნადუგალაძის ასის წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილეის. თვით იუბილიარი ლავრენტი ჯერ

სცენაზე არა ჩანან. ყველანი დიდის ამბით მოელიან მის გამოსვლას. ცოტა ხნის შემდეგ ასტყდება მქუხარე ტაში, ოთხი მარჯვე ბიჭი სცენაზე შემოიყვანს ას ოცი წლის სოხუცს, თეთრი სპეტაკი წვერი უმშვენებს მის მილეულ მუცელს, სიბერის გამო მთლად დაპატარავებულა, არც ერთი კბილი არა აქვს, არც თვალით უჭრის და არც აღარაფერი ესმის. ხელები საშინლად უკანკალებს. მიიყვანებენ და ჩასვამენ მისთვის მომზადებულ სავარძელში. დღესასწაული იწყება. წინ წამოდგება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელი. თავზე ვებერთელა თაბახი უდგას და ზედ დიდი შემწვარი ბატკანი არის გაშოტილი).

**წ. კ. საზ. წარმომადგენელი.**—(გაუჩერდება წინ ლავრენტის, ჩაასველებს და დაიწყებს) დიდებულო მგოსანო! დღეს მთელი ქართველი ერი დღესასწაულობს თქვენი ასი წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილეს. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გაითვალისწინა რა, რომ ამ ასი წლის განმავლობაში თქვენი მუცელი ერთხელაც არ გამძღარა,—დაადგინა: მოგილოცოს ეს ბრწყინვალე დღესასწაული და გადასდოს სალიტერატურო ფონდიდან თანხა საუკეთესო ბატკანის შესაძენათ, შესწვას და მოგართვას თქვენ. ყველა ეს მე მხვდა წილად, მე გავხდი ბედნიერი მოგილოცოთ ბრწყინვალე დღესასწაული.

**ლავრენტი.**—(შუბლზე ხელს მიიფარებს და ისე გახედავს, მაგრამ ვერაფერს ხედავს, ხელით ანიშნებს ერთ თავის მხლებელთაგანს. მხლებელი დურბინდს მიაწვდის. ლავრენტი გახედავს დურბინდით, მაგრამ მაინც ვერ არჩევს კარგათ. მიმართავს მხლებელს) ის ვინ მოსჩანს?

**მხლებელი.**—(ყურში რეზინს ჩაუდებს და რაც ძალა და ღონე აქვს უყვირის) დიდებულო მგოსანო! თქვენს წინაშე სდგას ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წარმომადგენელი.

**ლავრენტი.** (კიდევ გახედავს დურბინდით) ეს თაბახი რათ უდგას თავზე? მწვანილს ხომ არ ჰყიდის?

**მხლებელი.** (თავზე ხელებს მოიჭერს და უყვირის) დიდებულო მგოსანო! თაბახზე დიდი შემწვარი ბატკანი სძევს.

**ლავრენტი.**—(თითქოს იღიმება) აქ რათ მოუტანია?

**მხლებელი.**—(უყვირის) დიდებულო მგოსანო! ქ. შ. წ. კ. გ. ს. ერთ თავის საგანგებო კრებაზე დაუდგენია გადასდოს თანხა სალიტერატურო ფონდიდან და შეიძინოს ბატკანი. ეს ბატკანი შეუწვავთ და თქვენ მოგართვეს. გვიბრძანებთ ჩამოვართვათ?

**ლავრენტი.**—(ხელს გაიქნევს) არა, არა. (წამოდგება, გახედავს დურბინდით წ. კ. გ. ს. წარმომადგენელს) ბატონო ჩემო შემომხედეთ! (დააღებს პირს და უჩვენებს, რომ იქ ერთი კბილიც არ არის) მოახსენეთ ჩემგან მადლობა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და გააგებინეთ, რომ მათი დადგენილება ბატკანის შეძენის შესახებ დიდი შეცდომაა. შეცდომაა ისიც, რომ სალიტერატურო ფონდი შეუნძრევიათ ბატკნის გულისთვის. მოახსენეთ, ბატონო ჩემო, რომ მე კბილები აღარა მაქვს, ჯერ საჭირო იყო გადაედოთ თანხა კბილების შესაძენათ. გთხოვთ ბატკანი უკანვე წაიღოთ. (წარმომ. თავს უკრავს და მიაქვს თაბახი. გამოდის თფილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელი).

**ჟურნალ-გაზეთების წარმომ.**—(ახოვანი ვაჟკაცია დიდ მამოვურზე შემწვარი გოჭი წამოუგია და მოაქვს. გაჩერდება, ჩაასველებს და დაიწყებს) დიდებულო მხოსანო, მნათობო ჩვენის ლიტერატურისავ, ბრწყინვალე ვარსკვლავო, თფილისის ჟურნალ გაზეთობა მუდამ ამაყობდა თქვენით, თქვენი ნაწარმოებით ამ ასი წლის განმავლობაში არა ერთხელ და ორხელ დაგიმშვენებიათ ჟურნალ-გაზეთების ფურცლები. დიდ არს თქვენი ღვაწლი სამშობლო ლიტერატურის წინაშე. ამიტომ ამ დიად დღის აღსანიშნავათ თფილისის ჟურნალ-გაზეთებმა ხელის მოწერით შეაგროვეს ცოტაოდენი თანხა, იყიდეს ბაზარზე ეს მოზრდილი გოჭი, შესწვეს და დამავალეს მოგართვათ. ისეთი გემრიელია, ისეთი რომ სული მიმდის.

**ლავრენტი.**—(გახედავს დურბინდით. მხლებელს). ვინ არის ან რა სთქვა?

**მხლებელი**—(ჩაუდებს რეზინს ყურში და უყვირის) თქვენს წინაშე სდგას თფილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელი. ასე სთქვა, რომ ხელის მოწერით ფულები შევაგროვეთ, ბაზარზე გოჭი ვიყიდეთ და მოგართვითო. საუცხოვოთ შებრაწული გოჭი არის. ჩამოვართვა?

**ლავრენტი**—(ხელს იქნევს) არა. (წარმომადგენელს) წაიღეთ უკან გოჭი და მოახსენეთ ჟურნალ-გაზეთებს, რომ მე ისედაც მადლიერი ვარ მათი. ამ ასი წლის განმავლობაში მრავალი ლანძღვა გინება მსმენია მათგან. (წარმომადგენელი დარცხვენილი გადის. გამოდის თავად-აზნაურთა წარმომადგენელი).

**თავ-აზნაურთა წარმომადგენელი.**—(ხელში ძველი ქურქი უჭირავს). დიდებულო მგოსანო! მადლიერმა თავად-აზნაურობამ თქვენი ასი წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის მოგართვათ ეს დირს-შესანიშნავი ქურქი.

**ლავრენტი.**—(მხლებელს) ვინ არის ან რას ამბობს?

**მხლებელი.**—(უყვირის) ქართველ. თავად-აზნაურთა წარმომადგენელი. თავად-აზნაურობა მადლობას გიძღვნის და გიგზავნის თავის წინაპრის გამონაცვალ ძველ ქურქს.

**ლავრენტი** — (წამოიწევს და მიმართავს წარმომადგენელს). მოახსენეთ თავად-აზნაურობას, რომ ჩემი ძველი საბნითაც ითლათ წავალ. ქურქი უკან წაიღეთ. (წარმომადგენელი გადის. შემოდის ქალთა წარმომადგენელი).

**ქალთა წარმომადგენელი.** — (შემოაქვს გრამოფონი) დიდებულო მგოსანო! ყველა ქართველი ქალები ალტაცებით ეგებებიან თქვენს იუბილეს. ამ ასი წლის განმავლობაში თქვენ ატკბობდით ჩვენ სმენას, ეხლა თქვენ დასტკბით ამ გრამოფონით.

**ლავრენტი** — (მხლებელს) ვინ არის? ან რას ამბობს?

**მხლებელი.** — (უყვირის) ქალთა წარმომადგენელი გრამოფონი მოგართვეს.

**ლავრენტი** — (მწარე ღიმილით). მოახსენეთ ქალებს, რომ გრამოფონი ჩემთვის საჭირო არ არის, ჩემს ყურებს ადარაფერი ესმის. უკან წაიღეთ. (ქალი გადის დარცხვენით. შემოდის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი).

**ქალ. თვითმართ. წარმომ.** — (ხელში ვეებერთელა წალები უჭირავს და ძლივს მოათრევს) დიდებულო მგოსანო! თფილისის გამგეობამ მომანდო მოგილოცოთ ასის წლის დაულალავი მოღვაწეობის დღესასწაული. გამგეობამ საგანგებო კრებაზე გადასდო თანხა და შეიძინა ეს წალები, რომელიც ჩემის ხელით გაახდეთ.

**ლავრენტი** — (მხლებელს) ვინ არის?

**მხლებელი** — (უყვირის) თფილისის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი.

**ლავრენტი.** — რას ამბობს?

**მხლებელი.** — ქალაქის თვითმართველობა გილოცავს ასის წლის იუბილეს.

**ლავრენტი** — (გახედავს დურბინდით) ხელში რადა უჭირავს?

**მხლებელი** — წალები, დიდებულო მგოსანო.

**ლავრენტი** — მერე ხელში რათ უჭირავს, რათ არ ჩაუცვამს?

**მხლებელი** — ის წალები თქვენთვის მოურთმევია ქალაქის თვითმართველობას, დიდებულო მნათობო!

**ლავრენტი** — (წარმომადგენელს). ბატონო ჩემო, მოახსენეთ თფილისის ქალაქის თვითმართველობას, რომ მე ფეხები აღარ მაქვს, წალები ჩემთვის საჭირო არ არის ჩემ მაგიერ „ტოვარიშჩ“ პაბოვს გარდაეცით. (წარმომადგენელი გადის. შემოდის „ზაკავკაზსკაია რეჩი“-ს წარმომადგენელი მხარზე დიდი მოჭედილი ყანწი უდევს).

**„ზაკ. რეჩის“ წარმომადგენელი.** — დიდებულო მგოსანო! მადლიერმა „ზაკავკაზსკაია რეჩმა“ თქვენის ასის წლის დაულალავ მოღვაწეობის აღსანიშნავათ გიძღვნათ ეს სამაგალითო ქართული ყანწი, იყავით დღეგრძელ მრავალ ჟამიერ.

**ლავრენტი** — (მხლებელს) ვინ არის?

**მხლებელი** — „ზაკ. რეჩი“-ს წარმომადგენელი.

**ლავრენტი** — (გახედავს დურბინდით) ის კეტი რათ უძევს მხარზე?

**მხლებელი.** — კეტი არ გახლავს, დიდებულო მგოსანო, ქართული ყანწია, რომელიც თქვენთვის გამოუგზავნია მადლიერ რედაქციას.

**ლავრენტი** — (თვალები აეცრემლება. წარმომადგენელს) ბატონო ჩემო! გარდაეცით ჩემ მაგიერ უღრმესი მადლობა „ზაკავ. რეჩი“-ს რედაქციას ნამდვილ ქართველური გულწრფელი თანაგრძნობის გამოცხადებისათვის და სთხოვეთ ჩემს მაგიერ ყანწი ქართველ სტუდენტებს გარდასცეს. (წარმომადგენელი გადის. შემოდის ქართულ დრამატიული საზოგადოების წარმომადგენელი).

**ქართ. დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი** — (ხელში გალია უჭირავს). დიდებულო მგოსანო! ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ მომანდო მოგილოცოთ ბრწყინვალე დღესასწაული. ჩვენის უღრმესი თანაგრძნობის ნიშნათ მიიღეთ ეს პატარა საჩუქარი.

**ლავრენტი** — (მხლებელს). ვინ არის?

**მხლ ბელი.** — ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი.

**ლავრენტი** — (მიიხედავს) ის რაღა მოიტანა?

**მხლებელი.** — გალია გახლავთ.

**წარმომადგენელი.** — დიდებულო მგოსანო ამ პატარა გალიაში ჩვენი დასი გახლავთ და მთელი ჩვენი ძველი პიესები. მიიღეთ ძღვნათ ჩვენგან. თუ გეთილ ინებებთ და ენკენისთვეში დასს ისევ დაგვიბრუნებთ, ძლიერ მადლობელი დავრჩებით, რადგან ის მაშინ ჩვენთვის საჭიროა, ეხლა კი შეგიძლიათ სადაც გინდათ იქ წაიღოთ (გადის).

**ლავრენტი** — (ეძახის მხლებელს). ამაყენეთ (აყენებენ მიმართავს წარმომადგენლებს) ბატონებო! ბედნიერი ვარ, რომ ასეთ თანაგრძნობას ვღირსე თქვენგან. განა რომელიმე სხვა ერის მოღვაწე მოესწრება ასეთ რამეს? დამცვივნდა კბილები — მაწვდით შემწვარ გოჭებს და ბატკნებს, დავკუტდი — წალებს მაძლევთ; დავყრუვდი — მუსიკით გინდათ დაატკბოთ ჩემი სმენა, ჩემი სხეული ყინულივით ცივია — გინდათ ძველი ქურქით გაათბოთ, — ეს დიახაც ძნელათ ეღირსება ვისმე, ეს ნამდვილი ქართველური მზრუნველობაა. მოახსენეთ თქვენ გამომგზავნელებს: მშიოდა — არ გამიგონეთ, მწყუროდა — არ მასვით, მციოდა — არ გამათბეთ, უსახლკარო ვიყავ — სახლში არ შემიშვით! ეხლა გინდათ მოიგოთ ჩემი გული? (მიმართავს მხლებლებს) ჴეი! გაეცით მაგათ პასუხი. (მხლებლები კეტებით დაერევიან. წარმომადგენლები გარბიან. ხალხში დაუსრულებელი ტაშის ცემა ისმის).

ბურნუთი.

# ვნების მორევში

მდიდრულათ მორთულ დარბაზს ოდნავ ანათებდა ლამპარი. მთელი დარბაზი, რაღაც გულის მომკვლელ მყუდროებას მოეცვა. ისმოდა მხოლოდ სავარძელში გადაწოლილ ქეთევანის მძიმე სუნთქვა. ის ხან უაზროთ გააშტერდებდა თვალებს და ხან მის ახლო მჯდომ დავითს გადახედავდა.

— უნდა წახვიდე!.. — გესმის... მე მარტოთ მინდა: ვიყვე... მე მწყუროდა ბრძოლა, შენ კი შემბოჭე და ჩამითრიე ბინძურ ვნებათა მორევში. ჩემი ოცნებები დასცხრილე და მომეცი ხელში მხოლოდ ვნება, მხეცური ვნება. მე კი სულ სხვა იმედები მქონდა. შენ მინდოდი გამეხადე წყაროთ უკვდავებისა და იქიდან ამომეწოვა სიცოცხლის ძალა.. შენც მპირდებოდი, რომ ასეთი იქნებოდი, მაგრამ როდესაც ოჯახის ჩარჩოებს დასჯერდი და მეც მასში ჩამითრიე — იმ წამს დალუპე ჩემი ძალა.. გევედრები ეხლავ წახვიდე აქედან. გესმის თუ არა — ეხლავ!!

მეტის მღელვარებისაგან ენა დაება, წამოვარდა და გავიდა ოთახიდან. ქეთევანი სდუმდა.. მხოლოდ სასადილო ოთახიდან მოისმოდა კედლის საათის გულის მომწყვეტი კაკუნი. ცოტა ხნის შემდეგ ქეთევანი ადგა და ფანჯარას დაეყრდნო. ქალაქი ნეტარი ძილით სთვლემდა.

ქეთევანი ფიქრებმა გაიტაცა. მის წინ გადაიშალა პირველი დღე მათი შეხვედრის... სწორეთ ასეთი დრო იყო, როდესაც ერთ ბნელ ქუჩაზე პირველათ მოიქარდა მის ბაგეზე დავითის უმანკო კოცნა...

კარი გაიღო.. და როდესაც ქეთევანმა მოიხედა, შენიშნა დავითი რომელიც ხრინწიანი ხმით რაღაცას ლუღლუღებდა.

— წადი... მე ვუცდი შენს წასვლას!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა უნდა ვპოვო შენში?! ვნების წიგნში ძლიერ ცოტა სტრიქონებია და მათ კითხვათა განმეორება მეტათ მოსაწყენი.. შენ მეუბნები სიყვარულზე — მაგრამ რას წარმოადგენს ჩვენი სიყვარული? შეიძლება ის ოდეს იყო მაღალი და წმინდა, მაგრამ ეხლა წუთიერი დატკბობის მეტს არრას წარმოადგენს... მძულს შენი ტანი, ხორცი, რადგან ესენი არიან ვნებათა ბუდენი!

დავითი ქეთევანის მღელვარე მკერდს დააშტერდა...

— ნუთუ შენ არ გიგრძვნია ვნებათა სიბინძურე?

— არასოდეს!

ქეთევანს არ ესმოდა დავითის სიტყვები.. მისი მორჩილება უფრო აბრაზებდა დავითს. მას კი სურდა, რომ ქეთევანს ეს სიტყვები გულს ისარივით მოხვედროდა და ტკივილისაგან ეყვირა, ეგლიჯა თმები და პასუხი გაეცა. მხოლოთ მის გულიდან კვნესის მოკვეცილი ხმა ამოდიოდა...

სადღაც შორს ყრუთ ჩამოკრეს ქალაქის ზარებს. უკვე თერთმეტი სრულდებოდა... დავითი სევდა მორეული მიწოლილიყო თავის ლოგინზე და ძილი არ ეკარებოდა.. მას კარგათ ახსოვს ის წუთები, როდესაც პირველათ შეხვდა სილამაზით აღსავსე ქეთევანს... მისი ჭაბუკური გული სულ უცხო იმედებით ცხოვრობდა.. მას სურდა ქეთევანი მისი რაინდობის წყაროთ ყოფილიყო... მაგრამ ეს ოცნება ვით ეს ზარის რეკა მშიერ მსოფლიო ხრიოკში გაბნეულიყო... ოცნების ხმა, ბრძოლის წყურვილი გარდაცვლილიყო მხეცურ ჟინის დაკმაყოფილებაში და ზეშთაგონების მომბერი ქეთევანი, უბრალო ვნების კოლოფათ გამხდარიყო. სწორეთ ასეთი მშვენიერი და მომხიბლავი ღამე იყო, როდესაც მათ ტუჩებზე მოიქარგა ორი უმწიკვლო კოცნა... და თუ ეს კოცნა პირველათ ამამაღლებელი იყო, ეხლა მოგონებაც სწვავდა მას. არც სურდა წარმოედგინა, რომ სიყვარულის პირველი კოცნა რაშიდაც მთელი ძალა და გრძნობა იყო ჩაქსოვილი — შეიცვლებოდა სახლის დამამშვენებელ მანქანათ.

მწარე ფიქრებით გარემოცული მძიმეთ ადგა და მდუმარე ქალაქს გადახედა... მის წინ იშლებოდა მთელი თავის ცხოვრება და ის ჰაერი, რომელშიაც ტრიალებდა.. ეს ჰაერი იყო შეგუბებული და რა რიგ შენატროდა მისი სული იმ წმინდა ჰაერს, რომელიც ეხლახან მთვარეს დასტრიალებდა... და მთვარე მხოლოთ იმიტომ იყო ბადრი და მოცინარე, რადგან მა'ს ეხვია ჰაერი თავისუფალი და გაუხრწნელი..

დავითმა ინსტიქტიურათ შეხედა ცას. ცის ლაჟვარდში ნაზათ მისცურავდა ბადრი მოელვარე მთვარე... ფერ-მკრთალი მთვარე... მხოლოთ მისი გასტყორცნილი შუქი დედა-მიწას გორას დაკვდომოდა და მის მწვერვალზე ტრფობის ალით დამწვარი საამურათ ლაპლაპებდა... შორიდან მოსჩანდნენ იდუმალი მთები, რომელთაც ცის-ფერ კიდეში ოდნავათ გამოეყოთ შავი თავები... დავითის თვალები ამ მწვერვალს მიაშტერდა, თითქო ამ მთებზე დამარხული იყო ქეთევანის ქალწულებასთან ერთად თავისი სტიქიონური ძალა...

ვარეთ სიო ძალას იკრეფდა... ხეების თავები ახალგაზრდა ჯეჯილივით ღელავდენ... და დავითი სრულ ჰარმონიას პოულობდა მის და ბუნების შორის.. ალბათ იქაც როგორც მასში სიცარიელეა, ალბათ იქაც სევდა მეფობს... ფოთლების შრიალში და ხმაურობაში მკრთალ ნათელით განათებული ოთახი, უფრო მდუმარე და სევდიანი მოსჩანდა ოთახში თითქო შეგუბებულა ჰაერი... დავითი საჩქაროთ საყელოს იხსნიდა და ფანჯარას აღებდა..

..სივრცეში გაისმა ფოთოლთ ბიბინი თითქოს პაწია ფრინველმა აბარტყუნა ბანჯგვლიანი ფრთებიო.. ფერმკრთალი მთვარე მოცინარე შეეგება მის სევდიან თვალებს .. და მოვერცხლილი შუქი გადახრილი შემოიჭრა ფანჯარაში და ამ სხივში დავითის თვალებმა შენიშნა ქეთევანი რომელსაც განცხრომაში გაეშალა ჩიშრის თმები და მთვარეს ბაგეთ უკოცნიდა-.. ის იყო ერთიანათ თეთრი.. დავითის თვალები ვით წმიდა სალოცველს შეყურებდა და ტუჩები ღვთიურ ქებათა-ქებას უძღვნიდა.

— რათ მოდი? განა ჩვენ შორის ყველაფერი არ გათავდა?

ქეთევანის აჩრდილი მდუმარეთ სდგას და თავდაშვებული, დაღვრემილი დაყურებს დავითს..

— რათ არ მასვენებ? განა არ წაიღე ჩემი საუკეთესო საუნჯეთაგანი? სიკვდილი გინდა ჩემი?! მაგრამ ქეთევანის აჩრდილი ისევ მდუმარებს, როგორც მოვერცხლილი შუქი მთვარისა... დავითი შიშმა მოიცვა...

— შენ უკვე მოკვდი!!

ქეთევანის სახე უეცრათ გადაიკრა შავი ნიღაბით და მხოლოთ მოსჩანდნენ განცხრომას შემყურები შავი კაკლები საზარი და ხარბები... ორი სახე ერთ სახეში ჩამოისხა რაღაც უსიცოცხლო ლურჯში და დავითი გაშტერებით შეყურებდა ქეთევანის მომაკვდავ სახეს... მთვარის შუქში იცქირებოდა გლოვის სახე და დავითი მასში თავის სახეს პოულობდა...

დავითმა ფანჯარა მიკეტა... მეორე ოთახიდან დროთ-გამოშვებით კვნესა ისმოდა... ხმა თანდათან კვდებოდა და ბოლოს სრულიათ მიწყნარდა, მიჩუმდა...

რაღაც იდუმალი ძალა სწევდა მას ქეთევანის ოთახისკენ.. ეს იდუმალი ძალა მისი სურვილი იყო, დასნეულებულ გულის სურვილი უკანასკნელათ შეეხედა მისთვის... ...და ფეხ-აკრეფით ქეთევანის ოთახისკენ წავიდა.

როდესაც სასადილო ოთახის კედლის საათს მოუხლოვდა, მან დაბრუნება დააპირა.. მას სცხვენოდა რაკუნა სათისა... მაგრამ მაღალი მკერდის სუნთქვა ჯადოსნური ძალით იტყუებდა მას ვნების მორევისკენ...

ქეთევანის სახე მქრთალი აბაჟურის შუქზე მთვარეზე უმშვენიერესი იყო... სიცხისა გამო პერანგი გაეხსნა და ბროლის გულ-მკერდი გამოეჩინა.

ვნება მორეული დავითი მას მოუახლოვდა... მისი სუნთქვა ჩაიხლართა ქეთევანის სუნთქვაში.. თვალები გიჟურათ დასცქეროდა თეთრ მსუქან ხორცს.. მდუმარე ბაგე საკოცნელათ იწვევდა... მიბნედილ თვალები დავითს გონებას უფანტავდენ და ესეც გრძნობდა, რომ ყოველ წუთით იბოქებოდა ვნების ბორკილებით და მზათ იყო ყველაფერი ეპატიება...

ის გიჟივით დააფრინდა და კუკურ ძუძუებზე კოცნა მოქარგა...

— ყველაფერი მიპატიებია, ყველაფერი ჩურჩულებდა მისი ტუჩები... თუმცა რაინდი ლაჩრათ მაქციე... შენ აქ დარჩები, აქ! უშენოთ ცხოვრება არ შემიძლია... ყველაფერი მიპატიებია... შენ აქედან ვერასოდეს ვერ წახვალ, ვერასოდეს!!! და თან გიჟურათ დაჰყურებდა ვნება მოსილ ხორცს...

საათმა ორი დაჰკრა მკრთალი ლამპარი იდუმალ შუქს ფენდა მთელს ოთახს და განსაკუთრებით ქეთევანის მილულულ თვალებს... დავითი კი ვნება მორეული ისევ ფეხ-აკრეფით მიდიოდა თავის ოთახისაკენ.

სერ. კლდიაშვილი.

---

# ო რ შ ა ბ ა თ ი*)

(ვოდ. ერთ მოქმედებით)

## გამოსვლა მეოთხე.

იგნატე და მელიტონ ფირფილაძე.

მელიტონ (უშნოთ აწლაწნილი. ტანთ გრძელი სერთუკი აცვია. თავზე შავი, გახუნებული ქუდი ხურავს. ულაზათო შეხედულობისა არის. გრძელი ნისკარტივით ცხვირი, უსიცოცხლო თვალები, პატარა ულვაშები, წვერის მაგიერ აქა-იქ რაღაც ბურტყლები აქვს ამოსული. შავი გრძელი თმა. წვრილი კისერი. მაღალი კრახმალიანი საყელო ყბებში აქვს მიბჯენილი და თავს ძლივს აბრუნებს, ხელში პორტფელი უჭირავს. დინჯათ მოაბიჯებს

*) იხ. „სალამური“ № 15.

ბევრი ლაპარაკი უყვარს მუდამ სერიოზული სახე აქვს და იშვიათათ იღიმება. გადმოდგამს ერთ ნაბიჯს გაჩერდება და ქუდს მოიხდის) უკაცრავათ ქალბატონო, რომ შეგაწუხეთ. მაქვს პატივი გაგეცნოთ (ცალ ფეხს უშნოთ გაიქნევს). მელიტონ ზურაბის ძე ფირფიტაძე, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე (კიდევ თავს უკრავს).

ონოფრე (იცინის. ჩუმათ სერგოს). მართლა ფირფიტას არ გავს ბიჭო? (ორივენი ჩუმათ იცინიან).

სოფიო (გახედავს ლორნეტში). ფრიად სასიამოვნოა (თავს დაუქნევს). მობრძანდით, დაბრძანდით (სავარძელზე მიუთითებს. თითონაც დაჯდება).

მელიტონი (მოწიწებით დაჯდება). გმადლობთ იმედი მაქვს, ბატონო, რომ შეურაცხყოფათ არ მიიღებთ ჩემს სტუმრობას. რას იზამთ მოვალეობა...

სოფიო (ღიმილით). რაზედ გარჯილხართ ამ ორშაბათ დილით?

მელიტონი (ფრიად სერიოზულ სახეს მიიღებს, დინჯათ დაიწყებს) ეხლავ მოგახსენებთ. უნდა მოგახსენოთ ბატონო ჩემო, რომ მოვალეობა ჩემი მძიმეა. დიახ მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, წარმოიდგინეთ, რა სულიერ ტანჯვას განიცდის ადიმიანი როცა ასრულებს იმას, რასაც პრინციპიალურათ წინაალმდეგია. დიახ დიდს, დიდს ტანჯვას. მაგრამ კარგათ მოგეხსენებათ, მდგომარეობა ისეთ პირობებში აყენებს ხშირათ ადამიანს. რომ თავის წინაალმდეგ საქმეს სჩადის. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ფრიად და ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მომესპო ყოველივე სალსარი. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ სასტიკი წინაალმდეგი ვარ სხვისი გაყვლეფის, უსინდისო გზით რაიმეს შეძენის. დიახ. ბატონო ჩემო, მე მუდამ მზათა ვარ ყოველივე გაჭივრება ავიტანო და არ ჩავიდინო ისეთი საქმე, რაც ჩემ პრინციპს და ზნეობას ეწინააღმდეგება (ჩაახველებს. ონოფრე და სერგია ჩუმათ ლაპარაკობენ და იღიმებიან. სოფიოს მოუთმენლობა ეტყობა. მიხეილი პირს მოიბრუნებს და გაშტერებით უყურებს მელიტონს. მის სახეზე რაღაც შიში და მწუხარება იხატება. მელიტონი განაგრძობს ისევ ისე სერიოზულის კილოთი). უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ მეტათ ცუდათ გაუჩენია ბუნებას ადამიანი. თუ სხეული არ ანებივრე, თუ ყველა მისი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილე. სიცოცხლე ქრება, ადამიანი კვდება. დიახ, ბატონო ჩემო, ავიღოთ თუნდ კუჭი, ეს, ადამიანის სხეულის მთავარი მამოძრავებელი ჩარხი, თუ მას თავის დროზე საფქავი არ მივეცით სიცოცხლე შეუძლებელია. სწორეთ ამ წყეულ კუჭის წყალობით შევედი ქალაქის თვითმართველობის სამსახურში. კუჭი გახმა, სიცოცხლე მოიწურა და მეც მეტი რა გზა მქონდა. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ მე, როგორც იდეის კაცი და მოწინავე ელემენტი, ფრიად წინაალმდეგი ვარ დღევანდელ ყველა დაწესებულებში სამსახურის. დიახ. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ჩემთვის ფრიად ძნელია იმ თვითმართველობაში სამსახური, სადაც მხოლოდ ბურჟუათა ინტერესების დამცველებს გაუკეთებიათ მკვიდრი ბინა და ცხოვრების სადავე ხელში აუღიათ. დიახ, უნდა მოგახსენოთ, ბატონო, ჩემო რომ მდგომარეობამ მაიძულა ჩემი პრინციპების წინაალმდეგ წავსულიყავ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონო ჩემო, რა მძიმე და აუტანელია ჩემთვის, როცა თქვენთან და სხვებთან მივდივარ და ჩემი რწმენის წინაალმდეგ შევიწროებას გაყენებთ, მაგრამ მოვალეობა... (სოფიოს მეტის მეტი მოუთმენლობა ეტყობა, სკამზე ძლივს ზის) უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ წყალი... (საყელო უჭერს, შეჩერდება თავს ასწევს და ისწორებს საყელოს. განაგრძობს) წყალი (შეჩერდება და ისევ ისწორებს საყელოს. ონოფრე ფიცხლავ გავარდება ოთახში). წყალი, ეს ბუნების პირმშო შვილი, რომლითაც დაჯილდოვებულია მთელი ქვეყანა, რომელიც ყოველ მხრიდან უხვათ ეფინება კაცობრიობას ზევიდან, ქვევიდან, ერთი სიტყვით ყოველ მხრიდან (შემოდის ონოფრე და შემოაქვს სტაქნით წყალი. მიუტანს მელიტონს, მელიტონი გაოცებული უყურებს) უკაცრავათ მე არ მწყურია.

ონოფრე (გაოცებული) იმე! წყალი წყალით იყვირე და მე ასე მეგონა გული მიგდით-მეთქი (გამობრუნდება).

სოფიო (გაჯავრებული ონოფრეს) წადი! დაიკარგე აქედან (ონოფრე და სერგია ჩუმათ გადიან. მელიტონს) უკაცრავათ, ბატონო, მაგრამ ძალიან მეჩქარება, გთხოვთ გვიბრძანოთ რა გნებავთ?

მელიტონი (ნაწყენი). ეხლავე ბატონო ჩემო. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ მე სასტიკი წინაალმდეგი ვარ წყალის გაყიდვის. განა შეიძლება იმის გაყიდვა, რაც ბუნებას მუქთათ მოუცია? ჩვენი ბურჟუების წარმომადგენლები კი ამას სჩადიან. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ქალაქის თვითმართველობა ყიდის წყალს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ პრინციპიალურათ წინაალმდეგი ვარ, როგორც ქალაქის თვითმართველობაში სამსახურის, ისე წყლის გაყიდვის, ყოველ შემთხვევაში, გარემოებათა წყალობით და ადამიანის ორგანიზმის უხერხულ შედგენილობისა გამო, წილად

მხვდა თქვენთან მოსვლა და უმორჩილესად გთხოვთ გვიბოძოთ წყლის ფულები, რამდენიც ირიცხება თქვენზე ამ ერთი თვის განმავლობაში (წამოიწევს და მდაბლად თავს უკრავს).

სოფიო (ამოიხვნეშებს, რომ როგორც იქნა გადარჩა მელიტონის „რეჩს“. ცუდს დროს მოხვედით, მაგრამ რა გაეწყობა. გთხოვთ გვიბრძანოთ რამდენი გერგებათ.

მელიტონი (პორთფელს გაშლის და კვიტანციას მიაწვდის). უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ სასტიკი წინააღმდეგი ვარ თქვენი შეწუხების, მაგრამ რა გაეწყობა; დროთა და გარემოებათა წყალობით...

სოფიო (გააწყვეტინებს). რამდენი გერგებათ?

მელიტონი (მოწიწებით) უნდა მოგახსენოთ ბატონო ჩემო, რომ საუბედუროთ თქვენზე ირიცხება სულ 17 მანეთი და 60 ს. უნდა მოგახსენოთ ბატონო...

სოფიო (მოთმინებიდან გამოსული, მიაწვდის ფულებს). ინებეთ ბოდიშს ვიხდი. მაგრამ მეჩქარება. გთხოვთ საბაასოთ სხვა დროს მობრძანდეთ (თავს დაუკრავს და გაბრუნდება ოთახისკენ)

მელიტონი უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ.. (სოფიო უკვე შედის ოთახში, მელიტონი სახტად დარჩება. უცბათ მიბრუნდება მიხეილისკენ, მდაბლად თავს დაუკრავს მივა ახლოს და ამოოხვრით) უნდა მოგახსენოთ ბატონო ჩემო, რომ ..

მიხეილი (თვალებს დააჭყეტს, ხელებს გაასავსავებს და საცოდავათ კნავილს მოჰყვება).

მელიტონი (შეშინებული უკან დაიხევს და კარებისაკენ მიიწევს). უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ უკაცრავათ.. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ... (ჩუმათ აღებს კარებს და გადის. მიხეილი ერთხანს გაშტერებულია. შემდეგ სახე წამოუწითლდება და პირს დააღებს, კარებისკენ იხედება, უნდა დაუყვიროს ვიღაცას საცოდავათ კნავის. გამოდის სოფიო.

### გამოსვლა მეხუთე.

სოფიო, შემდეგ ონოფრე.

სოფიო (გამოდის. სახეზე მრისხანება ეტყობა წასასვლელათ გამზადებულია) ონოფრე! ონოფრე!

ონოფრე (გამოვარდება). რა გნებავთ ქალბატონო!

სოფიო. ბიჭო! თუ ვინმე მოეხეტოს კიდევ უთხარი, რომ სახლში არა ვარ და ძალიანაც დავიგვიანებ. გესმის!

ონოფრე. იმე! რავა არ მესმის ქალბატონო, თუ ვინმე მოვიდა მე ვიცი, როგორც შევხვდები.

სოფიო. როგორც გეუბნები ისე მოიქეცი. უზრდელობა არაფელი ჩაიდინო უთხარი სახლში არავინ არის თქო.

ონოფრე. კი ბატონო უთუოთ ასე ვეტყვი. თუ ისეთი აყლაყუდა მოვიდა ეხლა რომ იყო, ვაჩვენებ ფეთებას.

სოფიო (გაჯავრებით. როგორც გითხარი ისე მოიქეცი. სისულელე არაფერი ჩაიდინო იცოდე. ბატიანი არ გააჯავრო (მიდის კარებისაკენ მიუახლოვდა თუ არა კარებს და ის არის გასწევს ხელს, რომ გააღოს — გაისმის ზარის წკარუნი. განრისხებული უკან დაიხევს) აჰ! ღმერთო ჩემო! ვიღაც კიდევ მოეხეტა რაღაც უბედური ორშაბათი გათენდა დღეს აბა ჰკითხე ბიჭო ვინ არის.

ონოფრე შეიძლება, ქალბატონო. დღეს კვიმატი ორშაბათი იყოს. (მიდის კარებთან და ეკითხება) ვინა ბრძანდებით!

ხმა გარედან. გაბრიელ ტიკიბერაძე!

ონოფრე (ცოტა ხანს გაშტერებულია, შემდეგ ისევ ეკითხება) ვინა ბრძანდებით?

ხმა გარედან გაბრიელ ტიკიბერაძე

ონოფრე. (გაშტერებული თვალებს დააჭყეტს) ვინა? ხმა მაღლა, ხმა მაღლა!

ხმა გარედან (ყვირის). გაბრიელ ტიკიბერაძე!

ონოფრე (მუცელზე ხელს მოიჭერს და საშინელი სიცილი წასკდება).

სოფიო (განრისხებული). რა თავს იგდებ ბიჭო რა ამბავია შენ თავს!

ონოფრე (ისევ ისე იცინის).

სოფიო (გაანჩხლებული), ეს რა ამბავია თქვენი ჭირიმეთ. ბიჭო, აღარ იტყვი ვინ არის?

ონოფრე (საშინლად იცინის, სულს ძლივს იბრუნებს). მოვკვდი ქალბატონო, მეტი აღარ შემიძლია (ხარხარებს).

სოფიო (მოთმინებიდან გამოსული, საშინლათ უყვირის). ბიჭო, თავს ნუ იგდებ, სთქვი ვინ არის?

ონოფრე (თავს ძლივს ძლივობით იჭერს). აბა რა ვიცი ქალბატონო, ვიღაც იძახის გაბრიელ ტიკიბერაო თუ გაბერილი ტიკიბერაო (იცინის).

სოფიო (გაანჩხლებული). გაუღე კარები შე საძიწევ შენა?

ონოფრე (თან იცინის და თან კარებს აღებს, შემოდის (გაბრიელ ტიკიბერაძე).

### გამოსვლა მეექვსე.

იგინივე და გაბრიელ ტიკიბერაძე.

გაბრიელი (ასე 30 წლის. თავმოპარსული, დი

ღრონი ულაზათო თვალები, გრძელი ულვაშები წვერი მოპარსული აქვს. ტანათ დაბალია, როცა ლაპარაკობს, ენით ჩქარ-ჩქარა ტუჩებს ისველებს, ლაპარაკობს გაბმით წვრილი ხმით ტანთ გრძელი უშნო ფინჯაკი და შალვარი აცვია, შავი შლიაპა ხურავს. შემოდის პორტფელით ყოველივე მისი მიხვრა მოხვრა და ლაპარაკი აშკარათ ამტკიცებს, რომ დიდი ხანია უყლაპავს კანცელიარიის მტვერი. სულითა და გულით მოხელეა შემოაღებს თუ არა კარებს გაჩერდება, მოიხდის ქუდს და მდაბლათ თავს დაუკრავს სოფიოს და გაბმით, ხმა მაღლა ამბობს) გაბრიელ ტიკიბერაძე.

ონოფრე (ტუჩებზე ხელს მოიჭერს, უნდა შეიმაგროს სიცილი, მაგრამ ვერ ახერხებს) ფხუ! ფხუ!

სოფიო (გაანჩხლებული). დაიკარგე! გასწი, (ონოფრე გადის).

გაბრიელი (მოწიწებით) უკაცრავათ, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ მოვალეობა...

სოფიო (ბრაზი მოსდის). არაფრის ბატონო, დაბრძანდით. გთხოვთ გვიბრძანოთ, რით შემიძლია გემსახუროთ. (დაჯდება).

გაბრიელი (ისევ დგას). მაპატიეთ, ბატონო, თქვენ მგონია ბანკის ვალი გმართებთ.

სოფიო. დიახ, მმართებს, მერე?

გაბრიელი. სწორეთ იმიტომ გიახელით.

სოფიო (გაჯავრებული) უკაცრავათ, ბატონო, მაგრამ ტყვილა გარჯილხართ. ჯერ ერთი, რომ დღეს ორშაბათია და მეორე ფულები არა მაქვს, ნურას უკაცრავათ, რომ ხელცარიელს გისტუმრებთ.

გაბრიელი (თავს უკრავს). რა გაეწყობა. მოვალეობა, თორემ აბა როგორ შეგაწუხებდით. მაშ გეახლოთ?

სოფიო (ღიმილით). დიახ, საუბედუროთ დღეს არაფერი გამაჩნია, ვეცდები ადრე შემოვიტანო

გაბრიელი. თქვენი ნებაა. ყოველ შემთხვევაში ეცადეთ სახლი არ დაგვეკარგოთ და დროზე შემოიტანოთ ფულები. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. არ შეგაწუხებდით, მაგრამ მოვალეობა.. (მდაბლათ თავს უკრავს და გადის).

სოფიო (წამოვარდება) აი დაგწყევლოთ ღმერთმა თქვენ და თქვენი მოვალეობა. ონოფრე! (შემოდის ონოფრე) ბიჭო! გესმის ვინც უნდა მოვიდეს. არამც და არამც კარები არ გაუღო, რეკოს ზარი რამდენიც უნდა

ონოფრე. დიდის სიამოვნებით, ქალბატონო, მაგაზე ადვილი რაღა არის.

სოფიო (მიდის კარებისაკენ). მაშ როგორც გითხარი ისე მოიქეცი (გააღებს კარებს და გადადგამს თუ არა ნაბიჯს, კარებში შეეხეჩება ენუქა ტლიკინაძე).

**გამოხვლა მეშვიდე.**

იგინივე და ენუქა ტლიკინაძე.

ენუქა (ჰეტის მეტათ გამხდარია. პატარა ჭრელი თვალები შავი, მოკლე წვერ ულვაშში. თვალებს ეშმაკურათ ატრიალებს. დაბალი ტანისაა, შემპარავი ენა აქვს. სიდაც შეატყობს, რომ თავისი არ გადის ფეხქვეშ ეგება მოწინააღმდეგეს. ოღონდ კი თავისი საქმე გაარიგოს და არავითარ საშუალებას არ ერიდება. ტყუილებს სეტყვასავით ჰყრის. ტანთ გახუნებული ყვითელი ფინჯაკი და შალვარი აცვია. თავზე რგვალი ქილოფის ქუდი ხურავს. ხელში ტროსტი უჭირავს. შემოდის პორტფელით კარებში სოფიოს შეეხეჩება. სოფიო თან გაოცებით და თან სიანჩხლით გაშტერებული დარჩება ხმა ვერ ამოუღია. ენუქა შემოდის და ქუდს მოიხდის). მაპატიეთ, ბატონო ჩემო, უმდაბლეს ბოდიშს მოვიხდი. დიახ. ძლიერ უკაცრავათ გახლავართ. გთხოვთ მიცნობდეთ, ენუქა ტლიკინაძე, დამზღვევ საზოგადოების აგენტი, დიახ, აგენტი.

სოფიო (გაანჩხლებით). ღმერთო, ჩემო, ეს რა შავი ორშაბათი გამითენდა: დიახ, ბატონო ჩემო დიდი დანაშაული ბრძანდებით და დიდი უზრდელი ყოფილხართ. განა აგრე თავაშვებულათ მიდიან სხვის სახლში?

ენუქა. დიახ, დანაშაული გახლავართ, გთხოვთ მაპატიოთ გიახელით ბატონო ჩემო, რომ ფულები გვიბოძოთ უთუოთ გეხსომებათ, რომ თქვენი ქმარი არის დაზღვეული ჩვენს საზოგადოებაში.

სოფიო (გაანჩხლებული დადის აქეთ იქით, შემდეგ მიუბრუნდება ენუქას) ტყუილათ მობრძანებულხართ: ერთ გროშსაც ვერ მიიღებთ. თუ გნებავთ აი აგერ ჩემი ქმარი (მიხეილზე მიუთითებს მიხეილი რაღაც უშნოთ შეიშმუშნება და კნავილს მოჰყვება). და რაც გინდათ ის უყავით. მე კი ერთი გროშის მომცემი არა ვარ, იმიტომ, რომ დღეს არა მაქვს. ღმერთო დიდებულო რა გაიგო ნეტა ამ ხალხმა ამ ორშაბათ დილით?!?

ენუქა (მოჰყვება მეღლურათ. თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს) დიდის სიამოვნებით. დღეს არა გაქვთ ფული ხვალ მოვალთ, ზეგ მოვალთ, მაზეგ. მე სრულიადაც არ მსურს, რომ თქვენ შეგაწუხოთ. მართალია მე მაწუხებენ, მაგრამ თქვენი პატივისცემისთვის შემიძლია ავიტანო ყველაფერი. ოღონდ თქვენ ნუ შესწუხდებით, ქალბატონო, მაპატიეთ,

ბოდიშს ვიხდი მაშ გიახლებით და თუ საწყენი არ იქნება ხვალ ან ზეგ შემოვივლი

სოფიო (თავგანწირული ხმით) ოღონდ დღეს კი თავი დამანებეთ ღვთის გულისათვის და როცა გინდათ მაშინ მოდით. მხოლოდ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს სახლს ზარი აქვს (დადის)

ენუქა (მდაბლათ თავს დაუკრავს და მიდის). რატომ იკადრებთ ქალბატონო. როგორ დამავიწყდება. თქვენ ნუ შესწუხდებით ქალბატონო (გადის).

სოფიო (დაჯის გაანჩხლებული) ბიჭო! დაკეტე მაგრათ კარები და რამდენიც უნდა რეკონ ზარი კარი არავის გაუღო. სანამ არ შემოამტვრევენ არ გაუღო სულ ერთია ვინც უნდა იყოს, როგორც ვხედავ კარგი ვინმე არავინ მოვა დღეს ჩვენსა. მე არსად აღარ წავალ. სწორეთ, შავი, ჯოჯოხეთი ორშაბათი გამითენდა დღეს. არა რა, შეიტყვეს ამ ოხრებმა ყველანი ერთათ მოდიან. თითქოს შეპირებული არიანო, გესმის ბიჭო! არამც და არამც არავის არ გაუღო კარები. (მიდის თავის ოთახისაკენ).

ონოფრე. არა, ქალბატონო, თუ გინდა ღენერალი მოვიდეს მაინც არ გავუღებ. (დაიდებს ზურგზე ხელებს და დადის). რა ოხერი ორშაბათი გათენდა დღეს, გასაკვირია სწორეთ მოდიან და მოდიან ეს ოჯახ-ქორები. ბიჭო და ამდენი ვალები თუ ქონდა ჩემს ქალბატონს ეს კი აღარ ვი ოდი, ქვეყნის ვალები მაგას ქონია და აბა კაი დღეს დააყრიან? არც ვალი აქვს და არც საქონელი და არც არავინ მაწუხებს (დადის).

მიხეილი (პირს მოიბრუნებს მისკენ და კნავის).

ონოფრე (მიუბრუნდება). ჰა, რა გინდა, ძუძუ გინდა?

მიხეილი (კნავის და ოთახისაკენ იქნევს ხელს).

ონოფრე. ვაი შენს გაჩენას (მივა და გამოაგორებს სავარძელს. მიაგორებს ოთახისაკენ გაისმის ზარის წკრიალი. ონოფრე შეჩერდება და ილიმება). დიახ, რასაკვირველია, მოვრბივარ ეხლავე გაგიღებ კარებს (მიაგორებს ნელა. ისევ ისმის ზარის წრიალი, ხელს ჩაიქნევს კარებისკენ) დიახ, დიახ, რასაკვირველია. დიახ ეხლავე, მოვრბივარ კისრისტეხით (იცინის, მიაგორებს სავარძელს ნელა. ზარის წკრიალი არ სწყდება. ონოფრეს თანდათან გული მისდის, შეაგორებს უცებ სავარძელს ოთახში, გამოხურავს კარებს და გაჩერდება). აღარ მოისვენებ ვიღაც ოხერი ხარ?! გაჩვენებ ფეთებას თუ ონოფრე ვყოფილვარ. დამაცადე. (მივა კარებთან სკამს წაუქცევს, კარებს გააღებს და თვითონ კუთხეში მოეფარება. უცბათ შემოვა ანიკო ფუტურაშვილი, სკამს გადაეჩეხება და წაიქცევა. ონოფრე მუცელზე ხელებს მოიჭერს და იცინის).

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

## ბიბლიოგრაფია.

მოთხრობები დავ. კლდიაშვილისა ტომი I და II. გამოცემა მიხ. კალანდაძისა.

უკანასკნელ წლებში რუსეთის სალიტერატურო ბაზარზე თავი იჩინა და თითქმის გაბატონდა კიდეც წვრილი ლიტერატურული ნაწარმოები, უმეტესათ პორნოგრაფიულის შინაარსის, სხვა და სხვა რომანების და მოთხრობების სახით. ისე კვირა არ გაივლის, რომ ქუჩაში რაიმე წიგნი არ მოგაჩეჩონ ხელში, წიგნი უფასოა, უბრალო მკითხველი ამით სტყუვდება და ადვილათ ეგება ანკესზე. უფასოთ მიღებული წიგნი აღიზიანებს მის ცნობის მოყვარეობას, სურვილს უბადებს მეორე წიგნიც წაიკითხოს. სამწუხაროთ ამ მეორე წიგნში მაურიანს ართმევენ, მეორეს მოჰყვება მესამე, მესამეს მეოთხე და ასე დაუსრულებლივ. რომელიმე ჟოგლად უმგზავსო რომანი გაწვრილურებულია ორმოც და სამოც წიგნათ და გულუბრყვილო მკითხველის ჯიბიდან სამოც ოთხმოცი მაური შეუმჩნევლათ გადადის მადა გახსნილ გამომცემლის ჯიბეში. ეს სენი თან და თან ფეხს იკიდებს ჩვენშიაც. საკმარისია რაიმე საოხუნჯო ან პორნოგრაფიული დასწერო, მეტირალა სახელი უწოდო და ქუჩაში გამოიტანო, რომ ხელში ჩაგაგლეჯენ. ძვირათ შეხვდებით ისეთ ოჯახს თფილისში (ასევე იქნება პროვინციაშიაც) რომ ,,წითელი ოთახი'' არ ჰქონდეს. იმ დღეს, როდესაც ბაზარზე ეს წიგნაკი გამოიტანეს, და გასასყიდათ გამოფინეს. თითო წიგნაკი დიდს თუ პატარას, მოხუცს თუ ახალგაზრდას ყველას ეჭირა ხელში. როცა პირველათ გაზეთებში დაისტამბა ეს „სენსაციური ამბავი“ გაზეთს ერთი მეორეს აგლეჯდენ ხელში. წინათ თუ მანეთის იყიდებოდა გაზეთი, ამ დღეს ოცი მანეთის გაიყიდა. გაზეთებმაც, რასაკვირველია, მოუხშირეს და საკმარისათ გაბერეს ეს ამბავი. როგორც გამომცემელმა გადმომცა ,,წითელი ოთახი''-ს რუსული გამოცემა, რომ მთავრობას არ აეკრძალა ათიდან თორმეტი ათასამდე გაიყიდებოდაო. განა საარაკო ამბავი არ არის გაასაღო დღეს ჩვენში თორმეტი ათასი წიგნი? რით აიხსნება ხალხის ასეთი დაკნინება და ლიტერატურულ ყნოსვის გარყვნა? ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ამაზე ლაპარაკის ნებას არც დრო და არც გარემოება არ გვაძლევს. ყოველი გამომცემლის პირდაპირი ვალია ებრძოლოს ასეთ მოვლენას, თავის ჯიბეს გარდა მას სხვა მიზანიც უნდა ჰქონდეს.

,,მწიგნობრობის ასე დაცემის'' დროს სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მიხ. კალანდაძის მიერ გამოცემული ,,დავ. კლდიაშვილის მოთხრობები''. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მას. დავ. კლდიაშვილს, როგორც მწერალს საკმაოთ იცნობს ქართველი მკითხველი, მისი ნაწერების ერთათ გამოცემა სასიხარულოა. როცა მკითხველი ეცნობა ამა თუ იმ მწერლის რამდენიმე ნაწარმოებს,

მაშინ მას შეეძლოა ერთი მთლიანი შეხედულობა იქონიოს მაზე. ადვილია კრიტიკაც შეეხოს მას. ეს ერთი მხარე რისთვისაც სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს კლდიაშვილის მოთხრობების გამოცემა.

მეორე — თითქმის ჩვენებურ გამომცემელთა უმრავლესობა ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გასწიოს, გამოცემა იაფათ დაუჯდეს და მეტი აიღოს, ამისთვის ხმარებაშია მდარე ქაღალდი, უხეიროთ აწყობა დაკაზმვა და სხვა. მიხ. კალანდაძის გამოცემა ამ მხრით ყველაზე მაღლა დგას. ისე ლამაზათ და კოხტათ გამოცემულია წიგნი, რომ ძალა უნებურათ გიზიდავს აიღო ხელში და წაიკითხო. დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე და საუცხოოთ შეკინძულია. ეჭვს გარეშე პატივცემულ გამომცემელს არაფერი არ დაუშურებია ლამაზათ გამოეცა წიგნი. მართალია და ადვილი შესაძლებელიც არის წიგნმა ვერ დაფაროს თავის ხარჯები, მაგრამ სამაგიეროთ მომავალში მიხ. კალანდაძე ნდობას მოიპოვებს მკითხველებში და მას შეეძლია განაგრძოს გამოცემა.

თვითოეული წიგნი შეიცავს 302 გვერდს და ღირს 75 კ. ვურჩევთ ჩვენ მკითხველებს შეიძინონ ეს მშვენიერი წიგნი.

ირ—

---

## ღია წერილი ბ-ნ იოსებ კაკაბაძეს *).

ბ-ნო იოსებ! ამ წლის ენკენისთვის დამდეგს თქვენს თანამშრომლებს გვქონდა თათბირი შესახებ იმისა, გადაგიხადოთ თუ არა თქვენ ის ფულები, (თესლის ფასი). რომელსაც თქვენ ანგარიშობდით ჩვენზე. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება მოვთხოვოთ თესლის ფასი იმათ, ვისაც თესლები წაუხდათ მოგვყავს აქ თქვენ მიერ გაცემულ კვიტანციების ის ადგილი სადაც სწერია, რომ უკეთუ თესლი ვისმე წაუხდებოდა, ზარალს ერთი ორათ უზღავთ:

„ვაწვდით უსათუოთ საიმედო თესლს, ხოლო თუ ვინმე ურწმუნო თომა აღმოჩნდა და არ ენდო ჩემს გულწრფელ რჩევას, იმას შემდეგ პირობას დავუდებ: თუ ჩემი თესლი თავის ღირსების გამო დაიკლებს ან წახდება, ამის შემოწმების შემდეგ თესლის ორკეც ფასს უკანვე დავუბრუნებ მყიდველს.

თესლების გამყიდველები ბევრია. რომლებიც სხვადასხვა საშვალებით ავრცელებენ ხალხში მას. — მე არ მინდა მათ დავემსგავსო ამ ხალხისათვის საინტერესო საქმეში, და თუ ვინმე ამას ქებათ ჩამორთმევს მას ვთხოვ დამინიშნოს კონკურსის მეცნიერულათ მომზადებულ სპეციალისტების ექსპერტიზით, და იქაც აღმოჩნდება უტყუარი ღირსება“.

თქვენ თავიდანვე დაარღვიეთ თქვენი პირობა:

1) თქვენ ვალდებული იყავით თესლები დაზამთრებამდის მიგელოთ აქ დაგემზათრებიათ და მსურველთათვის თავის დროზე ჩაგებარებიათ. 2) თქვენ ვალდებული იყავით ჩაგებარებიათ ხელის მომწერთათვის ის თესლები, რომელიც თვით დაიკვეთეს; მიუხედავათ ამისა, თქვენ იძულებული გვყავით დაგვერიგებია მათთვის თეთრის მაგიერ ყვითელი ჯიშის და სხვა არეულ დარეული თესლები, რაიც აღმოჩნდა დაპარკვის შემდეგ. 3) მთელს ქვეყანას ამცნეთ თქვენი განცხადებებით, რომ საბაზროთ თესლს არ გამოიტანთ; თქვენ კი სხვა და სხვა ბაზრებზე დატარებით გაყიდეთ რამდენიმე ასი კოლოფი; 4) ვალდებული იყავით ბაზრის ფასებზე საგრძნობლათ აღმატებულ ფასებში გაგევრცელებინათ ხალხში საღი და უტყუარი თესლები; პირიქით თქვენი აბრეშუმის თესლის უმეტესობა გამოდგა უვარგისი, რის მაგალითებიც აუარებელია.

მაშასადამე თქვენსავე გაცემული კვიტანციების ძალით თქვენვე ხართ ვალდებული ყოველ მხრივათ დააკმაყოფილოთ დაზარალებულნი ხელის მომწერნი. ამით თქვენ შეასრულებთ თქვენს კანონიერს და ზნეობრივს მოვალეობას და ჩვენც დაგვიხსნით იმ განსაცდელისაგან, რომელიც მოგველის დაზარებულ ხელის მომწერთაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ დავზოგავთ არავითარ კულტურულ საშვალებას, რომ ჩვენი დაცემული პრესტიჟი საზოგადოების თვალში აღვნიშნოთ, ხოლო თქვენ შესაფერი პასუხი მოგაროთვათ.

სევერიანე ხვიჩია, ილ. რუხაძე, მღ. გ. ნუცუბაძე, ბართლომე მაისაძე, თომა გუხულაშვილი, ათანასე რუხაძე, ილარიონ დევიძე.

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენდა უნებურათ ძლიერ დაგვიგვიანდა

რედ.

---

# ფოსტა

**ხონი** — აკაკი პლებეიშვილს. — თქვენი მოთხრობა „თქვენ დატყვევებული ხართ“ შაბლონურია. ვერ დავბეჭდავთ.

— ვ. კ—იას — გირჩევთ თავს ძალას ნუ დაატანთ. ღვთის მადლით პოეტები ბევრი გვყავს და თქვენ სხვა რამე ხელობას დაადექით.

**თფილისი** — სიმონას. „სიყვარულის მაძიებელი“ ვერაფერი შვილი ლექსია. ლექსების წერას ნუ დაიწყებთ.

ყველა კორესპონდენტებს და თანამშრომლებს — ის ნაწარმოები, რომელიც არ დაიბეჭდება რედაქცია ერთ დღესაც ვერ შეინახავს და არც იკისრებს უკან დაბრუნებას.

# იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

**შემდეგი გამოცემანი**

1) **„ეშმაკის მათრახი“** 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი) 1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში - 2 მანეთი; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება - 50 კ.

2) **„მათრახ სალამური“** 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი - იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) **„ეშმაკის მათრახი“** 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი) - 1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) **„ალმანახები“** 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან - ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

---

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

# „შრომა“

(მუხრანის ქუჩა, № 12).

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

---

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# სალამური

**ჟურნალი წლიურად ღირს 5 მანეთი, თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.**

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები, პირველ გვერდზე სტრიქონი ეღირება—30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე კი—15 კაპ.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს ბანდეროლით ნუ გამოგზავნიან ხელთნაწერს, რადგან ამაში ერთი-ორათ იხდის ფასს. არ გამოისყიდის რედაქცია აგრეთვე უმარკო წერილებს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.